

კედეპინა: სოლოლაკზე, სერ-  
გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-  
ში, № 8.

კანტორა კედეპინა: სერ-  
გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ-  
ლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-  
რაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-  
ШО. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ДРОБѢ“.

გაზეთის ფასი: თ. 1 კაპი-  
სა—8 მან., 5 ხეკარ წლისა—4 მან. და  
50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს,  
რუსულს, სომხურს ქვეყნებში  
ფასი განცხადებრივად დიდხალს  
გზით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით  
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-  
ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

კედეპინას უფლება აქვს გა-  
სწროს და შეამოკლოს დასაბჭდად  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-  
ელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-  
დება.

პირველი ენკენისთვიდამ  
ამ მდგომარეა წლის დამღვამდინ

## „დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის  
დამღვამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფი-  
ლისში: რედაქციაში, სერგივის ქუჩა-  
ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

შალაქს გარე შე პირთა ამ აღ-  
რესისით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ ТИ-  
ШО. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ДРОБѢ“.

## საქართველო

ღლიური

ღლი. თითქმის მთელი ხალხი გაე-  
ლაგა გუშინ თფილისის რკინის გზის  
სტანციისაკენ, სადაც დიდს ტრიალ მინ-  
დორზე დანიშნული იყო ცხენების ღო-  
ლი. შაიტონებით, ცხენებით, დროგე-  
ბით, ქვევით მიექანებოდა, თავ-ქუდ-მოგ-  
ლეჯილი მიზნობდა ხალხი დილიდამ  
დაწყებული.

ღლი 2 საათზე იყო დანიშნული,  
მაგრამ მეოთხე საათის ნახევრამდინ არ  
დაწყებულია, დ. მ. ნამესტნიკს მოელოდ-  
ნენ.

პირველად გამოვიდნენ სამი ცხენი:  
ორი მლისავეტპოლის სახელმწიფო ცხე-  
ნის ქარხნისა და ერთი ცხენი-მამიორის  
ღუბოვსკოის. პირველი პრიზი (400 მან.)  
აიღო სახელმწიფო ცხენმა („ლელომ“)  
რომელმაც საჭენებელა მანძილი (2  
ვერსი და 100 საჟენი) გაიზინა 3 მი-  
ნუტისა და 53 სეკუნდის განმავლობა-  
ში; მეორე ჯილდო (100 მან.) მიიღო ღენ-  
ღუბოვსკის ცხენმა.

მეორე ღლი ყველაზე უფრო შესანი-  
შნაფი იყო. ამ ღლიში გამოვიდა სულ  
შვიდი ცხენი: სამი ისევ სახელმწიფო  
ქარხნისა და ოთხი ცხენი პირებისა.  
თავიდამვე მთელი საზოგადოების ყურად-  
ღება და სიმპატია დაიმსახურა თ. ბრ.  
მრბელიანის ცხენმა „მერცხალამ“, რომ-  
ელმაც იჯდა ნინიკა ბაქრაძე. და-  
იმან კიდევ გაამართლა ეს ყურადღება:  
პირველად ის ყველაზე უკან მიდიოდა;  
მაგრამ შუა ადგილიდამ ჯერ ერთს გაა-  
სწრო, მეორე მეორეს, მესამეს და შემდეგ უე-  
ცრად ყველა დანარჩენ ცხენებს თითქოს

თავს გადაახტა და უკანასკნელ 200 საჟენზე  
ჩამოსტოვა უკან.

ცხადი იყო ყველასთვის, რასაკვირვე-  
ლია, რომ ჯილდოს ის აიღებდა. მაგრამ,  
როცა ცხენი საზოგადოებას მიუახლოვდა  
და უნაგარიშო ხალხმა ერთმანად ტაში  
დაჰკრა და მიაციერა: „ბრავო მერცხალა!  
ბრავო ნინიკა!“ ცხენი დაფრთხა, განზე  
გაიწია, მოედვა თოკს, დაეცა და მუდო-  
მი გადაეარდა... ნინიკა წამოხტა, შეგდა  
დაწოლილ ცხენზე და ზეზე წამოახტუ-  
ნა; მაგრამ, საუბედუროთ, მეორედ გა-  
ეხლართა თოკში და ჩვენი ნინიკა მეო-  
რედ ჩამოვარდა... ამ ღლის მოასწრო  
სახელმწიფო ქარხნის შორს ჩამორჩენილ  
ცხენმა და აიღო პრიზი... მერცხალას  
სულ ორი საჟენი აკლდა ჭლავამდინ.—

შემდეგი მესამე ღლი არაფრით არ  
იყო შესანიშნაფი; ყაზანი-რუსები გა-  
მოვიდნენ, მაგრამ იმათ ცხენებმა არა-  
ფრით არ გამოიჩინეს თავი.

ღღეს, ორშაბათს, ორ საათზე, მეორე  
და უკანასკნელი ღლია დანიშნული.

\* \* \* ქანეთიდამ გეწერენ, რომ მოსა-  
ვალი წელს აქეთკენ ძალიან კარგი და  
ბლომად არისო ღვინისა და პურისა, აგ-

## ფელტონი

გოდება იროდისა მარიამნაჟად \*)

(ბაირონისა)

მხ მარიამნა! მეგობარო! აწ იგი გული,  
რომლისაგანაც შენი სისხლი არს დან-  
თხეული,  
შენის ცოდვითა \* თვითონ იწვის და  
იტანჯება;

\*) ღიდა იროდმა თავის ცოლს მარიამნას  
შესწამა ღლატობა თავისადმი და მოაკლევინა.  
იგი იყო საკვირველის სიღამაზის და მალაღი  
გონების ქალი; მაგრამ, თვის საუბედუროდ, გაგი-  
ყვით. შეუუარდა კაცსა, რომელმაც მოაკლევინა  
იმის პაპა, მამა, ძმა და ბიძა და თვით ქალსაც  
ორჯულ გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. შემდეგ  
სახეჯელისა, მორდს სტანჯავდა სახე მოკლულის  
მარიამნას; ბოლოს იქამდინ მიღწია მისმა მწუ-  
ხარებამ, რომ დროებით ჰკუთხედ შეიშალა.

ჩემსა თვალებზედ სინანულის ცრემლი  
არ შრება...  
სადა ხარ, ჩემო სიყვარულო! ჩემი ვე-  
დრება  
შენ რომ გესმოდეს—ინებებდი ჩემს შე-  
ბრალებას,  
თუ გინდ რომ თვითონ იეგოვა, ქვეყ-  
ნის დიდება,  
შურს არ უვდებდეს ჩემს გოდებას და  
ვალალებას.  
ნუ თუ ის მოკვდა? ნუ თუ ჩემი გან-  
კარგულება  
აღსრულდა მაზედ? მხ! ეს ცოდვა ვით  
შემემნდება?  
ჩემის სიბრაზით მე თვითონვე ვარ აწ  
დასჯილი;  
ხმალი თავითა მიკილია სისხლში გასე-  
რილი...  
მაგრამ ვაიმი! მე ამოდ მას ვევედრებო,  
მინც ზეცაშია ღრუბლებისა ზემოდ დაჰ-  
ფრინავს;  
მას გულს არ უღბობს ეს მღუღარე  
ჩემი ცრემლები

და ჩემს ცოდვითა დატვირთულსა სულ-  
ზედ არ შრუნავს.  
ის აღარ არის, ვინც გვირგვინსა შუა  
მიყოფდა;  
მისმა საფლავმა წარმტაცა მთლად ბე-  
დნიერება!  
მე ის ყვავილი, რომელიცა ჩემთვის  
ჰყვავოდა,  
მოვწყვიტე მედგრად და მეწვია უბედუ-  
რება.  
შენია მელის აღზნებული, განურებული,  
სადაც მომელის საუკუნოდ ტანჯვა, ვაება;  
მე სასჯელი ცოდვისთვის მაქვს მონი-  
ჭებული,  
მასაც, ვით ჩემსა ცოდვას,—ბოლო არა  
ექნება.  
სოსიკო ბაქრაძე  
სოფ. სინვლი  
18 ოქტომბერს 1878 წ.



რეთვე განსაკუთრებით სიმინდისაო. მაზის ავთიმყოფობა (ნაცარი) თუშცა რამდენსამე ალაგას იყოფო, მაგრამ როგორც აღრე, ისე წელს ვერ ანო ყურძენსაო.

\* \* ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა:

„დროების“ № 213-ში იწერებოდით, სხვათა შორის, ვითომც ამ ჟამად მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილს უყვე შედგენილი ჰქონდეს შემოკლებული ქართული გრამატიკა. ჰკვირობდით ამასთანავე, თუ რად არ აბეჭდინებს ის ამ სახელმძღვანელოს, თუკი სრულიად მზათ აქვსო.

„პი რასა მწერს მოსკოვის აკადემიილამ ამ საგნის შესახებ თვით მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი:

„ღრამატიკა ჯერ არა მაქვს დასრულებული. მცდილობ კი, რომ მალე შევასრულო. მაგრამ მე ჩემის ხარჯით მისი დაბეჭდინება არ შემძლიან. თუ ვინმე იკისრებს, დავასრულებ და გამოვგზავნი დასაბეჭდათ; ასრეა საქმე.

„ამ ღრამატიკაზე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ მუთაისის გიმნაზიაში მატარაძე ამ ჩემს ღრამატიკით ასწავლიდა და გიმნაზიელებს, ბოგშევებს ძალიან კარგათ ესმოდათ, რადგან რუსულ ენის პროგრამისათვის შეყოლებით — შეფარდებით არის შედგენილი.“

ა. მ.

„დროების“ კორექსორდენცია

ზორი, 51 მკტომბერს. მშვენიერი რამ არის ეს ჩვენი ზორი! შოველი მზრით შემკულია: აქვს უხვი წყალი, მდინარე-

ები, რომელთ შუილიც აცოცხლებს და აიაშოვენებს კაცსა; აქვს მშვენიერი ჰაერი, რომელიც სხვა-და-სხვა ქალაქებიდან იტაცებს კაცსა; აქვს შემორტყმული ვენახები, რომლებიც ამ ქალაქს ხდიან მშვენიერ ბაღათ; მშვენიერი ქართული ნუნუა, ყველი, პური და კარგი გული!

ეს სიმშვენიერე ბევრს მკითხველს ათქმევინებს: „ვაი, ნეტავი იქა მქნაო!“ ნუ ხარ, მკითხველო, სულ-სწრაფი, დამაცადე სხვა მხარეებზე აგიწერო ჩვენი ქალაქისა; განა მარტო ერთი მხრის განხილვას უნდა დასჯერდე?

მა მშვენიერი შემოკობილება დაგეკარგება თვალდგან, როდესაც აქაური საზოგადოების ყოფა-ქცევას დააკვირდები; როდესაც ჩვენ ზორის საზოგადოების მოძრაობაზედ შეაჩერებ თვალს განსახილველად.

რომ კარგათ გაგაცნოთ ზორის საზოგადოებასთან, სუყველა მისს ნაწილს ცალ-ცალკე აგიწერო:

დაიწყეთ თავადებიდგან. აქაური თავადების გადმოჭიპული სახლებიდგან შეიტყობთ, რომ იმათ ერთხელ როდისმე „უბობოლაენათ“. მართი იმათი შეხედულება და ლაპარაკი დაგიმტკიცებთ, რომ მათ დაუკარგავთ ის წმინდა თვისებები ქართველებისა, რომლებიც თითქმის ყველა თავადებში იყო ჩანერგული: სიმამაცე, ერთგულობა, მამულის სიყვარული და სხვა.

აქაურ აზნაურებს სხვა და სხვა თანადებობა უჭირავთ, ზოგი ჩინოვნიკი გახლავს სულში, ზოგი მასწავლებელი, ზოგი ვაჭარი და ზოგი მათგანი მოჯამაგირეებათაც გახლავსთ. ჩინოვნიკები კონტაობისა და ქრთამის აღების მეტს თითქმის არაფერს აკეთებენ. მე აქ სუყველა ჩინოვნიკებზედ არა ვლაპარაკობ..

თუ როდისმე მოგხნდესთ ზორში წამოსვლა და აქაური მასწავლებლების ნახვა, დამიჯერეთ, დამე ნუ წამოხვალთ, დღე რომ წამოხვიდეთ, გადმოდით მა-

შინიდგან და ზორის სტანციაში დაათვალიერეთ ხალხი: თვალწინ წარმოგიდგებიან ჯობიანი და გრძელკანტორიანი კაცები, რომელნიც სულ უბრალო რამეზედ ისე საშინლად ხარხარობენ, რომ მითი ხმა მთელი ხალხის ყურადღებას მიიმხრობს ხოლმე.. ამათში საოსტატო სემინარიის მასწავლებლები, ერთის გარდა, არ ურევიან; ისენი ღამურეებს წაგვანან, მთვარიან ღამეში იციან სერნობა.

შკოლაში რომ შეხვიდეთ სწავლის გასაშინჯავათ, მასწავლებლები გჩვენებთ იმ ტიპებათ დაბაყული მასწავლებლებისა, რომლებიც დროს სუყვედა ლაზათიანი სილა, გინება და ნერვის წკეპლა. ისე გაკვეთილი არ გაივლეს, რომ ერთი ნაცემი შეგირდი მაინც არ გამოვიდეს გარეთ.

მართი მარტოკა საოსტატო სემინარია სუფევს, რომელსაც ჩინებულ მიმართულობას აძლევს ამ შკოლის დირექტორი პატივეცემული სემიონოვი.

ახლა ვაჭრები. მიჰყოფა კაცი თუ არა ვაჭრობას ხელს, მაშინვე რალაც ნიშნები დააჯდება ხოლმე: დიდი გადმოგდებული ღიბი, თურაშაული ვაშლივით წითელი და სუქანი ლოყები, სამათ ჩამოკეცილი ლაბაბი.

აქაური მღვდლები, იმის მაგივრათ რომ წმინდათ ალასრულონ თავისი დანიშნულება, სულ ფულზედ ფიქრობენ. ხალხი იმისთვის კი არ უნდათ, რომ კარგს, როგორც სარწმუნოება ითხოვს, კვალზედ დააყენონ; არა, იმათ ხალხი იმისთვის უნდათ, რომ გამოსცინცლონ ფულები და კარგა აცხოვრონ თავიანთი სახლობა.

შალაქურ გლეხებში და სოფლის გლეხებში დიდი საერთო თვისებები იპოვება: ესენიც ისე იბრძვიან ლუკმაპურისთვის, როგორც სოფლები: ზოგი ჰხნავს და სთესავს, ზოგი მებაღობას ირჩევს და სხ. მარტო ის განჩენევა მათ-

როს ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოდით (ბაირონისა)

როს ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოდით, თკალთა გედიოდა ცხარე ცრემლები მოწმებად ამა ჩვენის გაყრისა.

იყვენ მრავალნი ცის ვარსკვლავები.. შენსა თვალებში სჩნდა მწუხარება,

სახე ფიქრითა გქონდა მოსული... მე მაშინებდა შორს გამზაურება და ვიყავ მწარედ დაღონებული.

ამ დროს მადლიდამ ცივი ცის ნამი დაეცა უცბად დედამიწაზედ და მე ბედკრული მაშინვე მიხვდი, რომ შენ მე მალე გამცვლიდი სხვა-

ბედად. აღსრულდა კიდევ: ყველა სულდგმული მხლა მხოლოდა მას ლაპარაკობს, რომ გაგიცივდა შენ ჩემწედ გული

და შენის ჭკრეტით ეხლა სხვა ხარობს!..

და ყოველთვისა, როცა-კი ვინმე შენზედ ლაპარაკს მე ჩამომიგდებს, ბული დამიწყებს კენესასა ხოლმე და თვალებიდამ ვლერი ცხარე ცრემლებს.

ხალხმა არ იცის—თუ ჩვენი გული რა კავშირითა არს გადაბმული, და ამისათვის ვაბედვით ცდლობს ჩვენს წმინდა კავშირს ბოლო მოუ-

ლოს. რაქნათ! სჩანს ყველას აქეს თავის ჟამი!

მაგრამ მე ის მაქვსაწ საწუხარად, რომ რაც გუშინა გულის ატყეეებდა, წაყრიდა, გაჰქრა სიზმრებრივ ჩქარად!


ახ თუ რომ ბედი მე გამიღამებს და შენსა ნახვას კვალად მაღირსებს— მითხარი ეხლავ, რომ შეგეყარო, მღუმარედ ვიყო თუ ცრემლი ვღვა-რო?

სოსიკო ბაქრაძე სოფ. ცხინვალი. 17 მკტომბერს, 1878 წ.

\* \* როდესაც გული კენესას დამიწყებს და სახე ჭკუნვით შემემოსება; შენ ეს, სატრფოვო, ნუ შეგაშინებს, ნუ მკითხავ—თუ რა მაქვს მწუხარება.

ტანჯვასა გული არის ჩვეული, მერარას უზამს მას მწუხარება. მლონდ შენ განხო გაღიმებული, ჯმუნვაც სახილამ მსწრაფლ გადმეყრება! სოსიკო ბაქრაძე





ში, რომ პირველები მოქალაქეებით გაეშმაკებულები არიან, იმათ ვერაფერში ვერაფერს მოატყუებს, როგორც საწყალ გამოუცდელს სოფლებს ატყუებენ ხოლმე..

**მიხეილ მხარელიძე**

**მუთაისი, 20 ოქტომბერს.** ამ ერთი-ორის წლის წინათ ჩემოვიდა აქ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც გარეგანის შეხედულებით და შეროვნებით წარმოადგენდა მართლაც პატროსან კაცსა და თუ გმოილაპარაკებოდით იმდენს საიმედო რამეს გაიგონებდით იმისაგან, რომ ძალა-უნებურად დარწმუნდებოდით, ეს სწორეთ ჩვენი გამოამხნელი უნდა იყო-სო.

ამ ყმაწვილმა კაცმა მიიღო თავის თავზედ ბავშვების აღზრდა და სწავლება: გახსნა მოსწავლეების ბინა (ученическая квартира), რომელსაც თითონ ეძახოდა პანსიონს და მიიბარა ბავშვები. შასს კარგს იღებდა: თითო ყმაწვილზედ 250-300 მანეთამდის წელიწადში; მაგრამ მაგიერად მანც პატრონებს დიდ იმედს აძლევდა—ოქროს მთებს აღუთქვამდა. ხალხი ჯინჯველაფევით დაედო, ყველამ იმას მიატანა, ვისაც კი ფული ეჭარბებოდა. და იმანაც ისარგებლა, მოგვეცადეთის წყალობა: წისქვილებიც კი იყიდა, მიწებიც კი შეიძინა, ეზო-გარემოც გაიფრცელა და მოსწავლეები კი თუ არ გამოატინა, სასარგებლო არა უწავლებია-რა მათთვის.

ბოლოს გაუგეს პედაგოგს ხრიკები და მოკლე ხანის განმეფლობაში სულერთიან შემოეცალნენ ბავშვები. ღარჩა ჩვენი პედაგოგი გატლევალი და ჩვენც უპედაგოგოთ...

მაგრამ შევევიბრალო ღმერთმა და იმ მცირე ჟამში მისი შაგიერი სხვა გამოგვიგზავნა. მს კი ნამდვილად პედაგოგია; აი ნიშნები: საშინელი კონტა ბიქია, დადის ჯოხით ხელში; ბუნებით თუმცა კოჭლი არ არის, მაგრამ სიფრანტით ცოტას მოიკოჭლებს; ბულვარში უღაშოთ იშვიათათ ნახავთ, „სუხოი კვა-ლერს“ ეძახიან; ნაცნობობის გახშირებას, მომეტებულად დიდ-კაცებთან და მათ ცოლებთან, ძალიან მეცადინეობს; მღა-ბალ ხალხთან კი როგორც ვაცნობა, ისე გავლაც ეზარება. მართის სიტყვით, მედიდურობა და ამპარტაენობა ფარშა-ფანგისა აქვს და თითონ კი ყვავიც არ არის—და უნდა მოგახსენოთ, რომ არც თავი უსკდება სიბრძნით.

მაგვხანა ამანაც პანსიონის გახსნის ღირსი; მაგრამ რა ფასს იღებს, თუ იციო? იმ პირველზედ მომეტებულს თუ არა, ნაკლებს არა. ამან უარესად დასტყაოს ღამის საწყალი ბავშვების დედ-მამა. მის ადგილი შეაციკვნა სწავლების ფასში და ვინ ფულზედგან გასცალა. ჩამოვიდა მშვიერ-ლატაკი და ახლა კი მამალ ბუზს თავზედ არ ისევამს.

ახლა რას ასწავლის ბავშვებს, თუ იცით? რა უნდა ასწავლოს, როდესაც

არაოდეს დიდის რვა საათიდან ნაშუა-დღევს ორ საათამდის შინ არ არის. ის თითონ სხვა და სხვა სასწავლებლებში დაბრძანდება, ვაკეეთილებზედ და საწყა-ლი ბავშვები კი მოსამსახურების სინა-ბარაზედ მიუტოვებია. ძარგი დაგემა-რთოს, რომ ნაშუადღევს მაინც რამეს ასწავლიდეს, მაგრამ მაშინაც ბულერის ტყეზნასა და ვეზატებს უნდება და ღამის ათ საათზედ, ან თერთმეტზედ კი შინ მიდის დასაძინებლად აქოდენა ფულში ნეტა აქვედეს რამე მაინცა ყმაწვილებს. სადილათ მათი საჭქელი არის ოდნავ განღრეული წვენი თითო ლუქმა ხორ-ციოთ და საღამოს თითო სტაქანი ყუ-ფელი, თბილი წყალი თითო ნაჭერი პურით.

რასაკვირველია, ადრე იქნება თუ გვი-ან, ამ ბატონ პედაგოგსაც შეუტყობენ თავის უსინდისობას, როგორც იმ პირ-ველსა, და ყმაწვილებს მოაცილებენ, მა-გრამ რაღა გამოვიდა, მანამ ის თავისას იქა და რამდენ ყმაწვილ გააფუჭებს! ძლიერია ჩვენში სწავლის ხალისი: ვინც არ შეხედებათ, ყმაწვილებს აძლე-ვენ გასაზრდელად და აი ამით სარგებ-ლობენ შემოხსენებულებისთანა გაიძე-რა პირები..

X.

**მწერლობა**

**სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვი-ლი.** რომანი ლ. პრდაზიანისა. გამოცე-მული ი. მელიქაშვილისა და ზ. ჩარკ-ვიანისაგან. თფილისი, 1878.

მს რომანი ახალი არ არი ქართულ წიგნობრაბაში, ადრე იყო დაბეჭდილი „ცისკარში“.

დიდი მადლობის ღირსნი არიან გა-მომცემეზნი, რომ მოწახეს და ამოაჩი-ნეს ეს მარგალიტი ქართულ მწერლო-ბისა. პრდაზიანის რომანი ნიჭიერობით შეედრება „მაცია, ადამიანს“ და „ზო-ხის ნაამბობს“. ამ რომანის შემთხველ-მა იგივე ადამიანის გულის ცოდნა გა-მოაჩინა, როგორც „მაცია, ადამიანის“ ავტორმა.

სოლომონ მეჯღანუაშვილი თავის ცხოვრების ამბავს თავისის დაბადებიდან იწყობს. დიდის ჯაფით და ტანჯვით იბრძოდა ცხოვრების ასპარეზზე მეჯღა-ნუაშვილი და ბოლოს ყოველის კეთი-ლისაც და უსამართლო ღონისძიებით დიდი სიმდიდრე შეიძინა და მოინდომა დიდკაცური ცხოვრება; უნდოდა უზრუნ-ველათ და ბედნიერათ გაეტარებინა თა-ვისი სიცოცხლე თავისის ცოლ-შვილით. იყიდა სახლი და შეამკო ძვირფასის მე-ბილითა; ფულს არა ზოგავდა, რომ ნე-ბიერათ და მხიარულათ გაეტარებინა დროება. მეჯღანუაშვილის უაღრესი ნა-ტერა იყო თავისი ქალი მამარ თ, ალექსანდრე რაინდიძისთვის მიეთხოვე-ბინა, მაგრამ ვერ აუსრულდა ეს ნატერა და ეს იყო მეჯღანუაშვილის და იმის

სახლობის უბედურობის მიზეზი. ალექ-სანდრე რაინდიძეს სხვა ქალი შეუყვარდა რომელიც კუჭით და სიტყვით ყველაფერს სჯობდა მზითვიანს, მაგრამ გაუზღელს, მამარს; და ალექსანდრემ ის სხვა ქალი შეირთო. ამ უბედურებამ მამარ დააჭ-ლოერქა და აი რა ფიქრები მოსდის სო-ლომონ მეჯღანუაშვილის, როდესაც ქა-ლი უკვდება:

— „მკ! ნეტავი მწყემსათ გავზილ-ვიყავ, სიმდიდრე, პატავი და დიდება არა მქონოდა, და ჩემს გულს არა ჰყო-ლოდა მტერი—ცოდვა!...“

მს არის რომანის მოძღვრება. მარ-თალია, ეს მოძღვრება ყველამ ზეპირად იცის, და თვით ქვეყანასავით ძველია, მაგრამ კაცს რამდენჯერაც ავიწყდება, იმდენჯერაც უნდა მოაგონონ.

სოლომონ მეჯღანუაშვილის რომანი, საერთოთ. ადვილის და უბრალო ენით არის დაწერილი, და გარდა ზოგიერთ ადგილისა, სასიამოვნო საკითხავია; ასე რომ, თუ კაცმა კითხვა დაიწყო, წიგნს თავს არ ანებებს, სანამ არ გაათავებს. ახლავე მიგვიქცევიო მკითხველის ყურა-დლება შემდეგ თავებზე რომანისა: I, II, IV, X, XI, XIII, XIV, XVI და XVIII.

ა.

**ბელგრავეები**

(ხალხის-შორის ტელეგრაფ სააგენტოსი)

**ბოგბანი, 21 ოქტომბერს.** სალოარ-ჯუი-გმა აღუთქვა ინგლისის მმართველობას, რომ, როცა აგვანისტანთან ბრძოლას დაიწყებთ, მე ჯარითა, თულითა და სხვა ყველა სამხედრო მასალებით მოგვხმა-რებითო.

ინგლისის ჯარებში ჯერ კიდევ ხში-რი ავთამყოფობა არის გავრცელებული პეშავარში.

ინდოეთის გაზეთს „პიონერს“ გაუ-გონია, რომ საინგლისო ინდოეთის ვიცე-კაროლი წინააღმდეგი არისო, რომ ინ-გლისის მმართველობამ კიდევ რაიმე წიგნი გაუგზავნოს აგვანისტანის შიპრსა.

**ათინა, 21 ოქტომბერს.** სამინისტროს კრიზისი გათავდა: სამინისტრო რჩევის პრეზიდენტად (თავმჯდომარედ) და გა-რეშე საქმეთა და ფინანსის მინისტრად დანიშნულია ტრიკუპისი, სახალხო განათლების მინისტრად—მავროკორდატი, სამხედრო მინისტრად—ძაირასკარისი, ზღვის—ძანარისი და იუსტიციისა და ში-ნაგან საქმეთა მინისტრად—ზაიმისი.

**პეტერბურღი, 22 ოქტომბერს.** კლეს აქ თოვლის მოღი.

**სიმლა, 23 ოქტომბერს.** ღენ. ლამა-ყინმა, რომელსაც მინდობილი აქვს თურ-ქმენების წინააღმდეგ (სპარსეთის ჩრდი-



ლოეთისაკენ) გაგზავნილი ჯარის მთავარ-სარდლობა, მიიღო ქასპის ზღვი-  
დამ სურსათი და ტეკვი მიგრდება. თურ-  
ქმენები უხედვებთან გზაზე ამის ჯარისა-  
თვის გაგზავნილ სურსათს და სამხედრო  
იარაღებსა.

ღენერალი ბროუნი დაინიშნება პე-  
შავარში დაყენებულს ინგლისის ჯარე-  
ბის სარდლათა.

## განცხადებანი

**ქ**ზორის უფლის წინამძღომელი  
წლივლ ადოუტანტი პოლკოვნიკი  
თ. ალექსანდრე პავლეს ძე მინ-  
სტაპი და კნიაზინა ანნა ალექ-  
სანდრეს ასული ამილახვარისა  
გულითადის მწუხარებით აუწყებთ  
სიკვდილსა პირველი თავის ვაჟისა  
და მეორე თავის ძმისა თ. გიორგი  
მრისთვისა და სთხოვენ ნათესავე-  
სა და ნაცნობებსა მოძრადნენ ქ-  
ლაქს ზორში, საკუთარს სახლში მი-  
ცვალებულის გამოცვენებაზედ ზო-  
რის სობოროში, 26 რიცხვს ამა-  
თვისა, ხუთშაბათს, დილის 10 სა-  
ათზედ. ბიოტეები არ გაიგზავნება.

### თფილისის გუბერნიის სახელმწიფო- შო მამულების გამგეობისაგან

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო  
მამულების გამგეობა ამით უცხადებს  
ქალაქს თფილისის იმ მცხოვრებთა,  
რომელთაც აქვთ სახლი ანუ ბაღი  
ძველ საეკლესიო და ახლა სახაზინო  
მამულზედ რომ 1870 წლის 20 ქრისტე-  
შობისთვის გამოცხადებულის უპაღლე-  
ნის განკარგულების და აგრეთვე 1873

წელს—15 მარტს გამოცემულის აღრინ-  
დელი მთავარ-სამმართველოს რჩეის  
დადებულების ძალით, ხსენებული სამე-  
კლესიო და ახლა სახაზინო მამუ-  
ლები, რომლებიც სძევან თფილისში  
და ამის არე-მარეში და რომელზედაც  
აშენებულია კერძო პართა სახლები ანუ  
გამართუოია ბაღები, უნდა გაიყიდოს  
ამ სახლებისა და ბაღების კატრო-  
ნებაზე.

უასი უნდა გადაიხადონ ან იმ არენ-  
დის-ფულის ოქსაფერად, რომელსაც ახ-  
ლა აძღვევენ ამ მამულში და ანუ იამუ-  
ლების დაფასებით.

ვადამ ამ მამულების ხსენებულს საფუ-  
ძიელზე გაყიდვისა დაინიშნულია ექვსი  
თვე.

თუ ამ ზემო აღნიშნულ ვალამდინ ის  
საეკლესიო მამულები არ შეისყიდეს  
სახლისა და ბაღის პატრონებმა, ამ შემ-  
თხვევაში მთავრობის განკარგულებით  
ის მამულები ხელ-ახლად იქნებიან დაფა-  
სებულნი და ამ ახალი დაფასების და-  
გვარად ახალი არენდის ფასიც დაინიშ-  
ნება.

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონება-  
თა გამგებელი პოლკოვნიკი ბელიკი.

სერგეი მელიქ-მელქონოვი. საქმის მწარ-  
მოებელი მაჭავარიანი.

(3—2)

**გასაძიკავებელი საღვრეო არის**  
ირაკლის ქუჩაზე ბასტამოვის სახლებ-  
ში, მეორე ეტაჟში: **ზვიდი სუფთა**  
**ოთახი**, სამზარეულო და ბიჭებისთვის  
ოთახები.

დაწერილებით პირობების შეტყობა  
შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში,  
სადაც უფ. ძონსტანტინე პრუშინოვი  
დგას. (10—8)

თიანეთის უზღუდო თ. ნიკო შავკა-  
ვაძის მამულის გამგეობის **ინსტი-  
ტუტა მამული** სულ 700  
**დენიანა**, რომელიც შე-  
იცავს სახნავე-სათეს ადგილს, ტყეს, საწის-  
ქვილეს ადგილს (იორზე).

უასისა და აგრეთვე უფრო დაწერილ-  
ბული გარემოების შეტყობა და მამუ-  
ლის პლანის ნახვა შეიძლება „დროე-  
ბის“ რედაქციაში, სერგეის ქუჩაზე,  
სახლს № 8.

(10—7)

გამოვიდა ლიტოგრაფიად და ის-  
ყიდება **ბ. ჩარკვიანის წიგ-  
ნის მაღაზიაში**

## ქართული სახალ- სო სიგარეები

ნოტაჟა გარდაკეთებული  
მიხეილ მაჭავარიანისაგან  
და  
გამოცემული ბ. ჩარკვიანისა.  
უასი ერთი მანეთი

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ გატონიშვილი“

ხუთ-ძოქმელებიანი დრამა საქართვე-  
ლოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან,  
გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რე-  
მანიდან „საქართველოს თამარ  
გატონიშვილი“  
ქ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის  
მაღაზიებში,  
მუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-  
ლიოთეკაში.  
უასი შველან ექვსი რაზრი.

რპ. გზა.	დღია.	საღა.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მანკაბ.	მაზანდა	მანკაბ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი..	9 21	5 18	კაბ. მ.კაბ.	მ.კაბ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 22 მ.ქ.ომბ.		მრენს მ მაედანზე, წ. ნამძღვარის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	- 68	- 38	ძვე სიის აქეთა მზრის ყველა		შქვ. თფ. ბანჯ.სა, ფთ.	180	აგათმყოფებს მიიღვენ ყოველს
ზორი..	11 5	9 43	240	133	ქალაქებში. . . . .	50	ფ ვილი წ-თელი. . . . .	160	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური..	12 9	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვ	2	ჭერი ფუთი . . . . .	130	მ რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და ბა-
სურამი..	144	4 42	246		პეტერბურს, მარშავს. . . . .	2	ბამბა მრევისა, ფუთი . . . . .	650	რალევიჩი—შინაგ. ავათ., მიუჩა-
შვირილი..	5 49	5 81	3 23		მსმალეთში, შვეიც. რიაში.	3	— აპერიკისა, ფუთი . . . . .	740	რინც—საჯარო ექიმი და საშვი-
რიონი..	6 54	6 75	3 75		იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაჟენტალი ბ.მბა ფუთი.	10	ლოს ოპერაციები.
სამტრედია..	7 51	7 73	4 29		ინგლისში . . . . .	3 75	მ.ყელი თუშური ფუთი	860	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შე-
ახალ-სენაკი	8 43	8 57	4 76				— თარაქამისა ფუთი . . . . .	450	ნ.გ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბაგ-
ფოთი . . . .	9 50	9 75	5 42				აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2	შვის, პეუნოვი—თვალის.
							ჭონი, ფუთი . . . . .	560	მ თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშვილი ში-
							ჭონის სანთლი ფუთი . . . . .	760	ნ.განი.
							სტეარინის ს ნთელი, ფთ.	1240	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შე-
							ხორცო ძროხისა, ლიტ.	81	ნაგ., მიუჩიონცი—სიბოლიტიკუ-
							— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	81	რი და საზარდვ ორგანების.
							სპირტი ვედრო . . . . .	480	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვილი—შინაგ.,
							შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	730	ა. ბახტოვი—საბებიო ქალისა და
							— ფხვნილი ფუთი . . . . .	620	ბავშვებსა.
							შავა გრვლი, გირვ . . . . .	70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი შინაგ., და
							ეთი ქუჩულისა ფუთი	1280	პეუნოვი—თვალისა.
							მამბაქო, საშულო ფთ.	660	